]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1550
14/06/2017

1550-01-4-201706140936

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის პირობებით ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „დ.ა“ ქვეპუნქტების, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და 119-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის N65 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N115 განკარგულებისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N116 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების დანართი №1-ის შესაბამისად, იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის /დანართი №1 თან ერთვის/.

2.დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის ელექტრონული აუქციონის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი №2-ის შესაბამისად /დანართი №2 თან ერთვის/.

3.ელექტრონული აუქციონის პროცესი უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ.

4.ბრძანება განთავსდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.eauction.ge.

5.ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქ. №11/,მისი გაცნობიდან ერთვი თვის ვადაში.

7.ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

შოთა მურღულია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი